პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1979 წელი ოთხშაბათი 14 თებერვალი № 38 (17383) ფასი 2 კაპ.

ვზარდოთ მომავლის მშენებლები

ბოლოწავლე ახალგაზრდობაში ცოდნის დამოუკიდებლად შეძენების, მეცნიერული და პოლიტიკური ინფორმაციის სწრაფ ნაკადში ორიენტირების უნარის გამომუშავება სკკპ XXV ყრილობის დირექტივებიდან გამომდინარე ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა სკოლისა, რომელიც შეესაბამება საყოველთაო საშუალო განათლების პირობებსა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნებს. საშუალო სკოლაში მიღებული ცოდნა მეცნიერებათა საფუძვლებისა, რაოდენ მკვიდრიც უნდა იყოს იგი, მხოლოდ ბაზაა, რომელიც შემდგომ მუდმივად უნდა შეივსოს. საშუალო განათლება როდია მხოლოდ ცოდნის გარკვეული ჯამი; აღზრდის ცნება კომპლექსურია და ისეთ კომპონენტებს შეიცავს, როგორიც არის მოსწავლე ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური მომწიფება, მასში ზნეობრივი სიწმინდის ჩანერგვა, შრომისათვის მისი მომზადება. ცხოვრებამ არ გაამართლა წინათ ფეხმოკიდებული ტენდენცია, რომ საშუალო სკოლას მხოლოდ უმაღლესი სკოლის შევსება ემზადებინა. საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა უდიდესი ნაწილი, რაკი უმაღლეს სასწავლებლებში ვერ მოხვდა, დამოუკიდებელი შრომისათვის ჯეროვნად მოუმზადებლობის გამო ცხოვრებაში დიდხანს ადგილს ვერ პოულობდა. ეს კი დიდად საზიანოა ჩვენი საზოგადოებისათვის, ჩვენი სახელმწიფოსათვის მორალურადაც და მატერიალურადაც. გამოუთანგარიშებიათ: თუ გავითვალისწინებთ 16-29 წლის ერთი ახალგაზრდის მიერ გაწეული შრომის ფასს, მარტო საშუალო სკოლების კურსდამთავრებულთა შრომითი მოუწყობლობის შედეგად ქვეყნის ეროვნულ შემოსავალს თითქმის მილიონობით მანეთი აკლდება ყოველწლიურად.

მოსწავლე ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური, ზნეობრივი და შრომითი აღზრდის დიდ კომპლექსურ პროცესში მოუთმენელ ხარვეზად, შეუწყნარებელ ნაკლად გვევლინება ფორმალიზმი.

მთელ რესპუბლიკაში ცნობილი გახდა ფორმალიზმისა და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ერთობლივად დასახული ღონისძიებანი, რომლებმაც შემდგომი გამოხატულება პოვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილებაში „გადაჭრით ვებრძოლოთ ფორმალიზმს აღმზრდელობითს მუშაობაში“. „ღრმად გამჯდარი ფორმალიზმი იმის შედეგიც არის, — მიგვითითებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი თავის დადგენილებაში, — რომ ქმედითს პარტიულ კონტროლს არ უწევენ მოზარდი თაობის სწავლა-განათლებისა და აღზრდის შემდგომი სრულყოფის დარგში პარტიის XXV ყრილობის დირექტივების, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებების შესრულებას“.

ფორმალიზმი აღზრდის უპირველესი მტერია. პარტიისა და მთავრობის ყოველი მოთხოვნა, სკოლის წინაშე დასმული ამოცანა თითოეულ მოსწავლეს, პედაგოგს დროზე თუ ვერ გავაცანით, ვერ დამყარდება დისციპლინა და წესრიგი მოზარდთა კოლექტივში, — წერს რედაქციას დედაქალაქის ერთ-ერთი მოწინავე 98-ე საშუალო სკოლის დირექტორი კომუნისტი ლ. ადამია. პედაგოგის, ერთი შეხედვით, უჩინარი ხელი მართავს აქ მთელ აღმზრდელობითს პროცესს პარტიულ, კომკავშირულ, პიონერულ ორგანიზაციებთან თანამოქმედებით, მშობლების ხელშეწყობით. ამიტომაც აქ სკოლის 665 მოსწავლიდან არც ერთი არ არის მეორეწლიანი, არც ერთი ბავშვი არ არის მილიციის ბავშვთა ოთახში აღრიცხვაზე. მეოთხე წელია სკოლას ახალი სასწავლო წლისათვის უშუალოდ მოსწავლეები ამზადებენ; სკოლის სახელსნნაში გაწეული შრომის გაკვეთილები საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის ხასიათს იღებს; აქ დამზადებული ნაკეთობა გამოყენებულია სკოლის გასაფორმებლად, ასევე სასწავლო კაბინეტებში. ბავშვებს ასეთი შრომა აჩვევს დამოუკიდებლობას, აქტიურობას, უმუშევებს გემოვნებას. ისინი ამაყობენ, რომ თავიანთმა ნამუშევრებმა შეავსო სასწავლო კაბინეტი, დაამშვენა პიონერთა ოთახი, დერეფანი.

სკოლა არწივთა საბუდარია. აქ ყალიბდება მომავლის მშენებელი მოქალაქე. მომავლის მოქალაქის ჩამოყალიბების პროცესი დიდმნიშვნელოვანია, იგი მოითხოვს სწავლებისა და აღზრდის პროცესების სრულ ერთიანობას, მასწავლებლისა და კომკავშირული აქტივის, პიონერული ორგანიზაციის ერთობლივ შინაარსიან მოქმედებას. თითოეული ახალგაზრდისათვის ხომ ცხოვრების ჭეშმარიტად ბრძნული სახელმძღვანელოებია ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის წიგნები „მცირე მიწა“, „აღორძინება“ და „ყამირი“.

კომკავშირულ ორგანიზაციებში მიმდინარე კრებებზე — „ფორმალიზმი აღზრდის უპირველესი მტერია“ — გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები და წინადადებები კომკავშირული კომიტეტების ოპერატიული მსჯელობის საგანი ხდება.

მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდაში სიტყვისა და პრაქტიკული საქმიანობის ერთიანობის მიუდწევლობა ხშირად ჯერ კიდევ ფეხმოკიდებული ფორმალიზმის შედეგია. ზალის რაიონის ხადიკის საშუალო სკოლაში პიონერთა ოთახი არ არის. მოსწავლეთა პროფორიენტაციას ნაკლები ყურადღება ექცევა, — ჩივიან მოსწავლეები; ბოლნისის 114-ე სოფლის პროფტექნიკურ სასწავლებელში არასრულწლოვანთა საქმეთა ინსპექციის ინსპექტორები ფორმალურად ეკიდებიან თავიანთ მოვალეობას. აქ პრაქტიკის გასავლელი ბაზა 20 კილომეტრით არის დაშორებული სასწავლებლიდან, ტრანსპორტი არ არის, პრაქტიკის გავლა მეტად ძნელდება. ფორმალურად ჩაიარა სასკოლო კონკურსმა საუკეთესო კედლის გაზეთებისათვის, რადგან სულ ერთადერთი კედლის გაზეთი გამოუშვეს.

ფორმალიზმი ზღუდავს და დარღვევები ხელს უშლის აღზრდის საქმეს. ადგილობრივი პარტიული ორგანიზაცია, საბჭოთა და სახალხო განათლების ორგანოები გულგრილი არ უნდა იყვნენ იმ ფაქტისადმი, რომ ქარელის რაიონის ხოფილ ბანის საშუალო სკოლაში 1975 წლიდან შემოღებულია ავტოსაქმის სწავლება, მაგრამ დღემდე მოსწავლეთა გამოშვება ამ პროფილით არ მომხდარა, ხოლო გორის სარაიონთაშორისო ავტოინსპექციას სკოლა აღრიცხვაზეც კი არ აუყვანია.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაობაში არსებული ფორმალიზმის წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლას დიდი პოლიტიკური და საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს საქართველოში, როგორც მრავალეროვან რესპუბლიკაში, სადაც მშრომელთა ინტერნაციონალური და პატრიოტული აღზრდა, ხალხთა ლენინური მეგობრობის სულისკვეთებით აღზრდა ხერიოზული პოლიტიკური ამოცანაა.

როგორც ყველა სხვა უბანზე, აქაც დიდია კომკავშირის, როგორც პარტიის აქტიური თანაშემწის, როლი კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე, კომუნისტური იდეურობის, საბჭოთა პატრიოტიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, მაღალი ორგანიზებულობისა და დისციპლინის, ზნეობრივი სიწმინდის, აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის, ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და მორალისადმი შეურიგებელი სულისკვეთებით ახალგაზრდობის აღზრდაში, როგორც ეს აღნიშნულია სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში ყველა ახალგაზრდა ამომრჩევლისადმი.

დიდმნიშვნელოვან კამპანიას — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადებას —დაემთხვა მეტად სასიხარულო ცნობა, რომ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, საკავშირო პროფსაბჭომ და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა გამარჯვებულად ცნეს და სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით, რვა სხვა მოძმე რესპუბლიკასთან ერთად, დაჯილდოვეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. დაე იცოდეს ყველა მოსწავლემ, რომ ეს შედეგია მათი მშობლების, მათი უფროსი და-ძმების, მთელი ხალხის თავდადებული, პატრიოტული შრომისა, რომელსაც წარმართავს საქართველოს კომუნისტური პარტია. დაე ჩვენი სკოლა, კომკავშირი, უფროსი თაობა ზრდიდნენ მოსწავლე ახალგაზრდობას, ნორჩ თაობას მიღწეულისათვის, კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე ჩვენი ხალხის გმირული გამარჯვებისათვის სიამაყის სულისკვეთებით, ვზრდიდეთ მათ იმის ღრმა შეგნებით, რომ უფროსების თავდადებული შრომით მოპოვებულ ამ წარმატებას უნდა უპასუხონ ბეჯითი სწავლით, პატრიოტული საქმეებით.

სამშობლოს ჯილდოს პასუხად

კვლავაც მგზნებარებით, ახალი შემართებით!

მიღწეული მიჯნა არ არის

დამეთანხმებით, რომ მშრომელი კაცისათვის იმაზე უკეთესი არაფერია, როცა გარჯას ღირსეულად დაუფასებენ. ამიტომ, ვფიქრობ, ყველასათვის გასაგები იქნება ახმეტელთა, ის უდიდესი აღფრთოვანება და შრომითი შემართება, რომელიც გამოიწვია ცნობამ ჩვენი რაიონის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით ჯილდოს შესახებ.

ეს დიდი ჯილდო, რომელიც შარშანდელი მაჩვენებლებით მოვიპოვეთ და რომელიც განუზომლად ამაღლებს ჩვენს პასუხისმგებლობას, რაიონის პირველადი პარტორგანიზაციების, თითოეული კომუნისტის, ყოველი მშრომელის თავდადებული გარჯის შედეგია. იგი იმ ზრუნვისა და ყურადღების შედეგიც არის, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო იჩენენ ჩვენი რაიონის მიმართ.

შარშანდელი გეგმა-ვალდებულებები რაიონის სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის მუშაკებმა წარმატებით შეასრულეს — სახელმწიფოს 4 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია მიჰყიდეს. რაიონს ყველა საბჭოთა მეურნეობა რენტაბელური გახდა. მათ შარშან მიიღეს 6.403 ათასი მანეთი მოგება, რაც საგეგმოს 200 ათასი მანეთით აღემატება.

დიახ, წარმატებები გვაქვს, მაგრამ მიღწეული მიჯნა როდია. ამიტომაც ახალი, 1979 წელი ახმეტელებმა დაიწყეს დევიზით „გავაუმჯობესოთ ყველა შარშანდელი შრომითი მაჩვენებელი!“.

გადაწყვეტილი გვაქვს წლეულს მნიშვნელოვნად გავზარდოთ ყურძნის მოსავალი, ხოლო ხუთწლედის ბოლოსათვის 50 ათასტონიან მიჯნასაც მივაღწიოთ.

წლევანდელი და, საერთოდ, ხუთწლედის დავალებების წარმატებით შესრულებას კი ახლავე უნდა ჩაეყაროს მტკიცე საფუძველი. ამ მიზნით რაიონის პირველადი პარტორგანიზაციები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ გადაჭიკონ 1979 წელი დაკვალიერული შრომის წლად, დარაზმონ მშრომელები ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის. ახლა რაიონში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს საგაზაფხულო თესვისათვის ნიადაგისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მომზადების სამუშაოები, მეურნეობები უზრუნველყოფილია კონდიციური თესლით.

ის უდიდესი შრომითი აღმავლობა და ენთუზიაზმი, რომელიც ახმეტელ მშრომელებში გამოიწვია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადებამ და რომელიც ახლა კიდევ უფრო გაზარდა ესოდენ დიდმა ჯილდომ, მათი მონდომება და ახალი წარმატებების მოპოვებისათვის ერთსულოვანი მზადყოფნის სურვილი გვაძლევს იმის მტკიცე იმედს, რომ ისინი წარმატებით გადაჭრიან მათ წინაშე მდგომ სერიოზულ ამოცანებს.

ვ. ბატიაშვილი,
საქართველოს კომპარტიის ახმეტის რაიკომის პირველი მდივანი.

მთელი პასუხისმგებლობით

სიამაყის გრძნობა დამეუფლა, როცა 1978 წლის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის სრულიად საკავშირო შეჯიბრების გამარჯვებულთა შორის საქართველოს სს რესპუბლიკა კვლავ ვიხილე. ალბათ ასეთივე სიხარული განიცადა რესპუბლიკის ყველა მშრომელმა, ამ საკითხზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას რომ გაეცნო.

საქართველო მოწინავეთა რიგებში რომ დგას, შედეგია იმ ჯანსაღი ატმოსფეროსი, რომელიც ამ ბოლო წლებში რესპუბლიკის პარტიული ხელმძღვანელობით შეიქმნა.

რწმენასა და ენერგიას გვმატებს იმის შეგნება, რომ ამ დიდ საერთო გამარჯვებაში მუშებთან და კოლმეურნეებთან, ინჟინრებთან და აგრონომებთან ერთად დიდია ქართველი მეცნიერების წვლილიც.

ჩვენ ყველა პირობა გვაქვს ენერგიის დაუზოგავად ვიშრომოთ, საქმით, ეამრავლოთ შრომითი მიღწევები. მთელი პასუხისმგებლობით კვლავაც გავამართლებთ პარტიისა და მთავრობის ნდობას, ქვეყნის ყველა მშრომელთან ერთად შევასრულებთ პარტიის XXV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისისა და ნოემბრის პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებებს.

ა. ფრანგიშვილი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი,

ორმაგი ენერგიით

გვეამაყება, რომ ეს ჩვენი ზედიზედ მეექვსე გამარჯვებაა. საქართველოს მშრომელებმა, სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა, კოლეგიური გლეხობამ, ინტელიგენციამ კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ მათ ძალუძთ ურთულესი მიჯნების დაპყრობაც და გადალახვაც.

საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქიმიის“ კოლექტივი ულოცავს ამ დიდ წარმატებას რესპუბლიკის ყველა მშრომელს და უსურვებს მათ მომავალში კიდევ უფრო დიდ გამარჯვებებს ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ. სამთოქიმიელთა სიხარული განსაკუთრებულია — დაჯილდოებულთა შორის ხომ ჩვენი საწარმოო გაერთიანებაც არის. 800 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია გამოვუშვით ხუთწლედის სამ წელიწადში. ამ ხნის მანძილზე წარმოების ყველა სფეროში და განსაკუთრებით შრომის ნაყოფიერების ზრდის დარგში არნახული წარმატება მოვიპოვეთ. ეს მაჩვენებელი ერთიორად ჭარბობს გეგმით გათვალისწინებულს. გასულ სამეურნეო წელს შექმნილმა მაგრანმეტმა და საუკეთესო ტექნიკურ-ეკონომიკურმა მაჩვენებლებმა საშუალება მოგვცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ღირსეულად შეხვედრისათვის ახალი გადიდებული ვალდებულებები გვეკისრა. გაერთიანებაში შემავალი ბრიგადების უმეტესობამ გადაწყვიტა მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა 4 მარტისათვის შესასრულოს.

გაერთიანების საწარმოთა საერთო კრებებზე, მუშათა კოლექტივების წინადადებების საფუძველზე, ვიკისრეთ ახალი ვალდებულებები. გადავწყვიტეთ ხუთწლედის ოთხი წლის სახელმწიფო გეგმა პირველი ივლისისათვის შევასრულოთ. ამ დროისათვის გაერთიანებაში დამთავრდება ხარისხის ძართვის კომპლექსური დანერგვაც. მიმდინარე წლის ბოლომდე ორი პროცენტით გავზრდით საპატიო ხუთკუთხედით აღნიშნული პროდუქციის გამოშვებას.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა გაერთიანების სოციალური განვითარების პროგრამის განხორციელებას. 3.800 კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართობს მიიღებენ საძთოქიმიელები. ეს კი ერთიორად აღემატება გეგმით გათვალისწინებულს. დამთავრდება დასასვენებელი ზონებისა, საბავშვო ბაღებისა და კლუბების მშენებლობა. იქმნება ისეთი პირობები, რომ წლის განმავლობაში ყველა მუშა და მოსამსახურე შეძლებს დასვენოს გაერთიანების ჯანმრთელობის ცენტრში.

დიდ გამარჯვებას რომ ვზეიმობთ, ჩვენი მხრივ, სამშობლოს მაღალ ჯილდოს პასუხად ვკისრულობთ ორკეცებული ენერგიით ვიშრომოთ.

ა. დვალიშვილი,
ჩორდის მაღაროთა სამმართველოს გვირაბგამყვანი, ლენინის ორდენოსანი.

შეჯიბრების დიდი ძალა

დიდია შეჯიბრების ძალა, როცა იგი შეგნებულ, კოლექტიურ, შინაგან მოთხოვნილებამდე ამაღლებულ გრძნობას ემყარება. კომუნისტური ხასიათის ეს დიდებული გამოვლინება განსაკუთრებული ძალით გვიჩვენებს საქართველოს მშრომელებმა უკანასკნელ წლებში, როცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით უკომპრომისო ბრძოლა გამოუცხადეს ნეგატიურ მოვლენებს, გაანაღეს შეჯიბრება სანიმუშო დისციპლინის, წესრიგის დამყარებისათვის ყველგან, ყველა უბანზე, და საუკეთესო საწარმოო მაჩვენებლების მიღწევისათვის კოლექტიური მეგობრული მტოქეობის ნამდვილი მაგალითი აჩვენეს.

თანამიმდევრულად ისხამს ხორცს ამ შეჯიბრების დიდებული დევიზი—„ეფექტიანობაც და ხარისხიც“, რომელიც ამ ხუთწლედის მთავარი მოთხოვნაა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის ზედიზედ მეექვსედ მოპოვება დიდი სიხარულით ავსებს საქართველოს ყოველი მშრომელის გულს. ეს ნიშნავს, რომ ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკა სწრაფი ტემპით ვითარდება, განუხრელად ხორციელდება სკკპ XXV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ბოლოდროინდელი პლენუმების გადაწყვეტილებები, საქართველოს შესახებ მიღებული ისტორიული დადგენილებები, ეს ნიშნავს, რომ სულ უფრო მაღლდება ჩვენი ცხოვრების დონე, უმჯობესდება ხალხის კეთილდღეობა. შეამაყება, რომ ამ საქმეში პარტიის ვეტერანებსაც შეგვაქვს წვლილი.

ვულოცავთ ამ მეექვსე გამარჯვებას საქართველოს ახალ თაობას, რომელიც ღირსეულად განაგრძობს ძველ ბოლშევიკთა საქმეს.

მ. ჯაში,
პარტიის ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე, სკკპ წევრი 1921 წლიდან.

ლ. ი. ბრეჟნევის საუბარი ქ. ფრანსუა-პონსესთან

13 თებერვალს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი, რომელიც იმყოფება შეებულებაში მოსკოვს გარეთ, ესაუბრა საბჭოთა კავშირში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოსულ საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ჟ. ფრანსუა-პონსეს.

საუბარს მეგობრული ხასიათი ჰქონდა. იგი მიეძღვნა საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ურთიერთობის დიდმნიშვნელოვან საკითხებს საბჭოთა კავშირში ლ. ი. ბრეჟნევისა და საფრანგეთის პრეზიდენტის ვ. ჟისკარ დესტენის მომავალ შეხვედრასთან დაკავშირებით. (საკდესი).

საუბარი კრემლში

12 თებერვალს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ჟ. ფრანსუა-პონსე.

საუბრის დროს, რომელმაც საქმიან, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, განიხილეს საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ურთიერთობის მდგომარეობის საკითხები, დაადასტურეს, რომ მხარეები ისწრაფვიან კიდევ უფრო მეტად გაღრმავონ საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ურთიერთხელსაყრელი კონტაქტები და თანამშრომლობა სხვადასხვა დარგში. განიხილეს აგრეთვე საერთაშორისო ცხოვრების ზოგიერთი საკვანძო პრობლემა იმ მოთხოვნის შესაბამისად, რომ კიდევ უფრო განმტკიცდეს დაძაბულობის შენელების პოლიტიკა, გააქტიურდეს ღონისძიებანი გამალებული შეიარაღების შეწყვეტის მიზნით.

ორივე მხარემ გამოთქვა რწმენა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევისა და საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ვ. ჟისკარ დესტენის მომავალი მოსკოვის შეხვედრა დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი გახდება საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის განმტკიცების გზაზე. (საკდესი).

ირანის დროებითი მთავრობის პრემიერ-მინისტრს მეჰდი ბაზარგანს

ბილოცავთ ირანის დროებითი მთავრობის პრემიერ-მინისტრად დანიშნულს. მშვიდობისა და ხალხთა შორის მეგობრობის ლენინური პოლიტიკისადმი ერთგული საბჭოთა კავშირი აცხადებს, რომ ცნობს ირანის დროებით მთავრობას და მზად არის იქონიოს და განავითაროს ჩვენი ქვეყნების ურთიერთობა თანასწორობის, კეთილმეზობლობის ეროვნული სუვერენიტეტის პატივისცემისა და ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპების საფუძველზე.

ჩვენი ქვეყნების ყოველმხრივი თანამშრომლობის განვითარება, ეჭვი არ არის, შეესაბამება საბჭოთა კავშირისა და ირანის ხალხთა ინტერესებს, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების ინტერესებს.

ა. კოსიგინი,
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

ძმობის მომღერალი



კოსტა ხეთაგუროვის დაბადების 120-ე წლისთავის გამო

ცხინვალი, 13 თებერვალი. (საქინფორმის კორ.). მიმდინარე წლის ოქტომბერში დაბადების 120 წელი უსრულდება ოსური მხატვრული ლიტერატურის ფუძემდებელს კოსტა ხეთაგუროვს.

ოლქში შეიქმნა საორგანიზაციო კომიტეტი ამ თარიღის აღსანიშნავად. გადაწყდა საიუბილეო საღამოები მოაწყონ ოლქის სამრეწველო საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. მშრომელები შეხვედრებს გაუმართავენ აგრეთვე მწერლებს. მოეწყობა კოსტა ხეთაგუროვის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი გამოფენები.

სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო გამომცემლობა „ირისთონი“ ამ თარიღისათვის ოსურ ენაზე გამოუშვებს მისი რჩეული ნაწარმოებების ერთტომეულს, მონოგრაფიას პოეტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

კ. ხეთაგუროვის დაბადების 120-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა გაიმართება თბილისშიც.

ჩვენს დიად სამშობლოში

ქომის ასსრ. ჩრდილოეთის ტაიგისა და ტუნდრის უზარმაზარ სივრცეებზე მომთაბარეობენ მეირმეობის მეურნეობათა მწყემსები. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების დღეებში უველაფერი კეთდება ავტონომიურ რესპუბლიკაში, რათა მეირმეებმა მოისმინონ აგიტატორის ცოცხალი სიტყვა. შორეულ ზამთრის სადგომებში აგიტატორები, პროპაგანდისტები, თვითმქმედი მხახიობები ვერტმფრინავებითა და ყველგანმავლებით ჩაყავთ.

* * *

სურათზე: პეჩორის საქალაქო საბჭოს დეპუტატი, აგიტატორი იური ისტომინი ესაუბრება საბჭოთა მეურნეობა „უსტ-უსინსკის“ № 2 ბრიგადის მეირმეებს.

ს. გუბსკის ფოტო. (საკდესის ფოტოქრონიკა).

ლ. ი. ბრეჟნევის სტატია „ოქტომბერი“-ში

ოქტომბრის ეროვნული რევოლუციის 60-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ჟურნალ „ოქტომბერ“-ში ლ. ი. ბრეჟნევის სტატია „ოქტომბერი“ — ეროვნული ეპოქა“ — ბეჭდავს ამ ეპოქის ეროვნულ-ეთნიკურ ასპექტებს, ეროვნული ურთიერთობის ლენინური ეტაპის ბუნებრივ-ისტორიულ ფესვ

„კომუნისტი“ ეძიებს რეზერვებს

სამრეწველო სიმძლავრეებს — მაქსიმალური დატვირთვა

„დაგეგმილი“ დისპროპორცია

1955 წლის 22 აპრილს რუსთავის აზოტასასუქების ქარხანამ პირველი პროდუქცია გამოუშვა. ეს მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო რესპუბლიკის ეკონომიკაში. სასუქების საწარმომ საგრძნობი წვლილი შეიტანა ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარებაში. წლების მანძილზე ქარხანა წარმატებით ართმევდა თავს სახელმწიფო გეგმებს, სისტემატიურად იძლეოდა ჭარბ პროდუქციას.

შემდგომში აზოტასასუქების ქარხნის ბაზაზე ხომ საბჭოთა საქართველოს „დიდი ქიმია“ იშვა. დიახ მან ჩაუყარა საფუძველი რუსთავში აზოტმჟავას, სინთეზური ამიაკის, კარბამიდის, შხამქიმიკატების, კაპროლაქტამისა და სხვა ქიმიურ სახეობათა პროდუქციის წარმოებას. ახლა რამდენიმე კილომეტრზე განლაგებული ასობით საწარმოო კორპუსები ერთ ქიმიურ ქარხანად იქცა. მის შემადგენლობაში შევიდა აზოტასასუქების ქარხანაც.

სამწუხაროდ, აზოტასასუქების ქარხნის მიერ შობილმა საწარმოებმა დააკნინეს „მშობელი“. ყველამ მოსთხოვა იმდენი, რამდენიც მის ძალასა და ღონეს აღემატებოდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ მინერალური სასუქების წარმოება, თავის შესაძლებლობასთან შედარებით, სოფლის მეურნეობას ნახევარზე ცოტათი მეტ პროდუქციას აძლევს. მისი სიმძლავრეების გამოყენების საშუალო დონე, მხოლოდ 66 პროცენტს შეადგენს, ეს კი განპირობებულია ძირითადი ნედლეულის — ამიაკის ნაკლებობით. ამიაკის წარმოების ფაქტიური სიმძლავრეები ვერ აკმაყოფილებს მინერალური სასუქების წარმოების მოთხოვნას. რუსთაველ ქიმიკოსთა ეს ნაკლი აღინიშნა საქართველოს ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმზე. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. ა. შევარდნაძის მოხსენებაში.

დისპროპორციამ, თურმე, როგორც ეს ქარხნის მთავარმა ინჟინერმა ზ. ჭერვალიშვილმა შეგვატყობინა, ჯერ კიდევ მერვე ხუთწლეულში იჩინა თავი, როცა მწყობრში ჩადგა ამიაკის ნედლეულით მომუშავე კაპროლაქტამის და შხამქიმიკატების კომპლექსები. მართალია, ამიაკის მეორე რიგის საწარმო საექსპლოატაციოდ 1970 წელს გადაეცა, მაგრამ კარბამიდის საამქროს ამოქმედებამ სიმძლავრეებს შორის დისპროპორცია ისევ ძველ დონეზე დატოვა.

სიმძლავრეების შეუსაბამობის შედეგად მეეხრე ხუთწლედში ქიმიურმა ქარხანამ 1,8 მილიონი ტონა მინერალური სასუქი დაკარგა სამშობლოს. მეათე ხუთწლედის საბ წელიწადში კი გამოშვებული 139 ათასი ტონით ნაკლები, ვიდრე ეს მისი საწარმოო ფონდების პირობებში შესაძლებელი იყო. ქარხნის მთავარი ეკონომისტის გ. ოტიაშვილის გამოანგარიშებით ხუთწლედის ბოლამდე ეს ციფრი 1,5 მილიონ ტონამდე გაიზრდება. როგორც ზედავთ, ამ მაჩვენებელში არაფერია სანუგეშო.-

ისმება კითხვა: რატომ არ გაითვალისწინეს ამიაკის წარმოების სიმძლავრე იმ ორგანიზაციებმა, რომლებსაც დავალებული ჰქონდათ ქიმიური ქარხნის კომპლექსების დაპროექტება? მათმა ხელმძღვანელებმა ხომ იცოდნენ, რომ ყველაფრის თავი და ბოლო ამიაკია, ახლა იქნებეს შთაბეჭდილება, თითქოს ეს დისპროპორცია წინასწარ ყოფილიყოს დაგეგმილი. დაწნაზავეთა დადგენა ალბათ შეიძლება, მაგრამ დაკარგულ ასეთასობით ტონა სასუქს რაღა ეშველება!..

ქარხნის მთავარი ინჟინერი ზ. ჭერვალიშვილი და ამიაკის წარმოების უფროსი ა. გუბაევი ირწმუნებიან, მინერალური სასუქების სიმძლავრეთა 80 პროცენტამდე დატვირთვა ახლაც შეიძლება. მხოლოდ ამისათვის საჭიროა ამიაკის საწარმოს ფიზიკურად და მორალურად ძალზე მოძველებული დანადგარების განახლებაო. ქარხნის ხელმძღვანელებს, თურმე, მრავალჯერ დაუსვამთ საკითხი ამის თაობაზე სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროს წინაშე. დიდხანს გაგრძელებულა ბიმოწერა და ჩრავლად იყო დაპირებები. მერე, როგორც იქნა, საკითხი „გადაუწყვეტიათ“ გეგმის კორექტირებით. და აი, მინერალური სასუქების წარმოება, რომელიც მხოლოდ 66 პროცენტით არის დატვირთული მიმდინარე ხუთწლედის სამ წელიწადში თურმე 38 ათას ტონა „ჭარბ“ პროდუქციას აძლევა. ამის შესახებ ქარხნის ხელმძღვანელობა გულისტკივილით ლაპარაკობს, თანაც დასძენენ, რომ არსებულ მდგომარეობას გულწრფელად განიცდიან და ცდილობენ გაკეთონ იმდენი, რამდენიც ეს ხანდახან მათ შესაძლებლობასაც კი აღემატება.

ბალი მდგომარეობა უნდა გამოსწორდეს. მიმდინარეობს ამიაკისა და მინერალური სასუქების საწარმოების გენერალური რეკონსტრუქცია. სიტყვა რეკონსტრუქცია აქ შედარებითი მნიშვნელობით უნდა გავიგოთ. იმიტომ, რომ ფაქტიურად შენდება მთლიანად ავტომატიზებული ახალი სიმძლავრეები, რომელთა ტექნოლოგიური პროცესების მართვა ცენტრალიზებული პულტიდან მოხდება. უკვე მიმდინარე წლის ბოლოსათვის სიმძლავრეთა პირველმა რიგმა უნდა უზრუნველყოს 200 ათასი ტონა ამიაკის, 400 ათასი ტონა ამიაკის გვარჯილის და 372 ათასი სუფთა აზოტმჟავას გამოშვება. საწარმოო კორპუსების აშენებლობის საქმე საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს აქვს დაკისრებული, დანადგართა და გაყვანილობათა მონტაჟი — „საქმთავარმონტაჟსპეცმშენის“ სამმართველოს. ქარხნის კაპიტალური მშენებლობის განყოფილების მთავარი ინჟინრის ტ. ხარატიშვილის აზრით, სამუშაოთა ბიმდინარეობის ახლანდელი ტემპი ჯერჯერობით არ გვაძლევს უფლებას ვიკარაუდოთ, რომ მშენებარე ობიექტები თავის დროზე ამოქმედდება. ისმისათვის, რომ საწარმოები ვადაზე ჩადგნენ მწყობრში, უნდა გასაკეთებელ მუშაობა და მენონტაჟეთა რიცხვი, გაუმჯობესდეს შრომის ორგანიზაცია, არ უნდა დაირღვეს დანადგართა მიწოდების გრაფიკი. ჯერჯერობით რომ მდგომარეობა ასეთია, ეს ქარხნის დირექციამ და პარტიულმა კომიტეტმა აღნიშნეს, მაგრამ ისინი ოპტიმისტურად არიან განწყობილი. პარტკომის მდივანმა გ. ბარამიძემ განაცხადა, რომ ახლა ხორკლიანდება მთელი რიგი ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს მშენებლობის ტემპის დაჩქარებას. როგორც იგი გვარწმუნებს, ყველა ახალი საწარმო ზუსტად დადგენილ ვადებში, ზოგიერთი მათგანი კი უფრო ადრეც იქნება საექსპლოატაციოდ გადაცემული.

საწარმოო სიმძლავრეთა დაჩქარებული ტემპით მწყობრში ჩაყენების საკითხი ყოველთვის იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ჩვენი მთავრობის ყურადღების ცენტრში. სკკპ კომპარტიის XXV ყრილობის შემდეგ არ ყოფილა ჩვენი პარტიის არც ერთი პლენუმი, რომელსაც არ ემსჯელა ამ უმნიშვნელოვანეს ამოცანაზე. ახალ საწარმოო სიმძლავრეთა დროულად საექსპლოატაციოდ გადაცემის აუცილებლობაზე განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ზეწინებებსა და სურვილებში, რომლებიც მან გამოთქვა ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის სამრეწველო საწარმოების დათვალიერების დროს. ამ პრობლემის გადაწყვეტა საბრძოლო დავალებად დაუსახა ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმაც.

ეჭვი არ არის, რომ რუსთავის ამ უმნიშვნელოვანესი სამრეწველო ობიექტების მშენებლები და მემონტაჟეები ვადაზე და უფრო ადრე შეასრულებენ დაკალებას.

შ. ამაშუკელი,
„კომუნისტის“ კორ

ზოგავენ დიდძალ ლითონს

ოცდახუთი პროცენტით შეამცირებს ლითონის ნარჩენებს მილის წინა თავის გასასწორებელი მოწყობილობა, რომელიც საექსპლოატაციოდ გადაეცა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავი საამქროს დგან „140“-ზე. მილების სამრეუდის გასწორება ერთ-ერთი მთავარი პრობლემური საკითხია მილსაგლინავ წარმოებაში. უნაკერო მილების გლინვისას მასზე უზარმაზარი მადეფორმირებელი ძალები მოქმედებს. გლინვის დასასრულს, როცა ეს ძალები იხსნება, მილის წინა თავი, ჩვეულებრივ, მრუდდება, მისი გასწორება პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება და მეტალურგები იძულებული არიან მოხრილი ნაწილი მოჭრან. ამიტომ დიდძალი ლითონი იკარგება.

ქარხნის მთავარმა ინჟინერმა, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატმა მ. მინდელმა, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტმა მ. მიქაუტაძემ და მილსაგლინავი საამქროს უფროსმა რ. თხელიძემ შეძლეს შეექმნათ ორიგინალური მოწყობილობა. მისი კონსტრუქცია მარტივია და საიმედოა მუშაობაში. ნაკადში მილის მოხრილ თავს მოწყობილობა დიდი სიზუსტით ასწორებს. აღნიშნული სიახლე საამქროს წელიწადში ათასობით ტონა ლითონს დაუზოგავს. ასობით მეტრი მილი, რომელიც წინათ იჭრებოდა და ნარჩენების სახით მიდიოდა, ახლა მრეწველობის სამსახურში ჩადგება.

ლითონის დაზოგვას მილსაგლინავ საამქროში ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდნენ. აქ საბჭოთა კავშირში პირველად ათვისეს ნავთობის მრეწველობისათვის განკუთვნილი შემოსარგავი მილების უქუროდ შეერთების ტექნოლოგია. როგორც აზერბაიჯანელი მენავთობეები ქართველ მეცნიერებს ეტყობინებენ, საბუროლ სვეტებში გამოყენებული, უქუროდ შეერთებული შემოსარგავი მილების თითოეულ ტონაზე ისინი 200-210 მანეთს ზოგავენ.

გ. ძინძიბაძე,
ინჟინერ-მეტალურგი.

ალბანეთის გზით

ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲬᲘᲜᲐᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ

ᲙᲝᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲔᲚᲗᲐ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ
ნ. Ჯ. ᲢᲘᲮᲝᲜᲝᲕᲗᲐᲜ

9 თებერვალს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების დნეპროპეტროვსკის ოლქის ნიკოპოლის საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლები შეხვდნენ დეპუტატობის კანდიდატს ამ ოლქში — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ტიხონოვს.

დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილმა პირმა — იუნენოტორუნების ქარხნის დირექტორმა პ. ი. კუცენკომ დამსწრეთ გააცნო ნ. ა. ტიხონოვის ცხოვრების გზა და ამომრჩევლებს მოუწოდა არჩევნების დღეს ერთსულოვნად მისცენ ხმა კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის კანდიდატებს.

შეხვედრაზე გამოსულმა ამომრჩევლებმა მხურვალედ დაუჭერეს მხარი ჩვენი პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. ორატორებმა აღნიშნეს, რომ კომუნისტების პარტიის მონოლითურ ერთიანობას, მის მტკიცე უფლებას კავშირს ხალხთან ერთხელ კიდევ დამსჯერებლად ცხადყოფს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადება. ეს შეკავშირება ყველა ჩვენი მიღწევის წყარო, ლენინის დიადი იდეალების, კომუნიზმის იდეალების გამარჯვების მტკიცე გარანტიაა.

შეხვედრაზე გამოვიდა ნ. ა. ტიხონოვი, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ. არჩევნების შემდეგ განვლილ წლებში, თქვა მან, ბევრი დიდი პოლიტიკური მოვლენა მოხდა როგორც ქვეყანაში, ისე საერთაშორისო ასპარეზზე. პარტიისა და ხალხის ცხოვრებაში დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო სკკპ XXV ყრილობა. ყრილობაზე დასახული ამოცანების განხორციელება პარტიისა და ხალხის საქმიანობის მთავარი მიზანი, მთავარი შინაარსი გახდა.

დეპუტატობის კანდიდატმა დაახასიათა პარტიის ნაყოფიერი მუშაობა ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის განმტკიცებისათვის, ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისათვის და დაწვრილებით შეეხო მეტალურგიისა და სათობ-ენერგეტიკული დარგების შემდგომი განვითარების უმნიშვნელოვანეს საკითხებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

მეტალურგიაში, ისევე როგორც მრეწველობის სხვა დარგებში, თქვა მან, წარმოების მოცულობის დავალებათა უთუოდ შესრულებასთან ერთად უპირველესი მნიშვნელობის საქმეა ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება. ახლა განსაკუთრებით საჭიროა, რომ მთელი ყურადღება დაეთმოს ლითონპროდუქციის სტრუქტურის გაუმჯობესებას, ყველაზე კონომიურ სახეობათა ნაგლინის, მილების, ლითონის ნაწარმის გამოშვების ყოველნაირად გადიდებასა და ლითონის გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებას მისი წარმოებისა და გადამუშავების ყველა სტადიაზე. ეს საშუალებას მოგვცემს რაციონალურად გამოვიყენოთ ლითონი სახალხო მეურნეობაში, გამოსადეგობის ვადა გაუთანგრძლივოთ მანქანებსა და ნაგებობებს.

შემდეგ ორატორი შეეხო სახალხო მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების გადიდების, რეზერვების უკეთ გამოყენების, საწარმოო და საგეგმო დისციპლინის განმტკიცების, მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერების საკითხებს. სხვადასხვა სახეობის რესურსების მოპოვების, გადამუშავებისა და გამოყენების დიდი მასშტაბის, აგრეთვე თბოთეული ტონა ნავთობის, გაზის, ქვანახშირის მოპოვების, ლითონის წარმოების ღირებულების სწრაფი ზრდის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მათს მაქსიმალურ მომჭირნეობასა და რაციონალურ გამოყენებას.

ხუთწლედის მეოთხე წლის პირველი დღეებიდანვე, თქვა დეპუტატობის კანდიდატმა, საჭიროა უაღრესად მკაცრი კონტროლი დაეწესოთ ელექტრო და თბოენერგიის ხარჯვას, გადაჭრით აღკვეთოთ უყაირათობის, მფლანგველობის ფაქტები. ელექტროენერგიის დაზოგვის დავალებანი უნდა შეასრულოს ყოველმა საწარმომ, ყოველმა სამეურნეო ორგანომ.

თანამიმდევრულად ხორცელდება პარტიის მიერ შემუშავებული ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების პროგრამა. სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გასაადიდებლად, მისი ასორტიმენტის ასამაღლებლად და ასორტიმენტის გასაფართოებლად სახლეობის საჭირო და ფასიანი ცხოვრებო მომსახურების გასაუმჯობესებლად მეტი ინიციატივა, მეტი გულმოდგინება უნდა გამოიჩინონ — ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა, მრეწველობის ყველა დარგის საწარმოთა კოლექტივებმა.

ორატორი შეეხო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის საგარეოპოლიტიკური საქმიანობის საკითხებს და აღნიშნა, რომ წინა არჩევნების შემდეგ განვლილ წლებში წარმოების ღირებულების ზრდასთან ერთად კიდევ უფრო გამდიდრდა საბჭოთა ადამიანების ცხოვრება როგორც მატერიალური, ისე სულიერი თვალსაზრისით.

შეეხო რა საერთაშორისო პრობლემებს, ბ. ნ. პონომარიოვმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის პოზიციები მსოფლიოში ამ ბოლო წლების მანძილზე კიდევ უფრო განმტკიცდა, ჩვენს სოციალისტურ მოკავშირეებთან მეგობრობა და თანამშრომლობა კიდევ უფრო მეჩალარო და ნაყოფიერი, ხოლო მსოფლიო სოციალიზმის გაელენა მოვლენათა მსვლელობაზე კიდევ უფრო არსებითი გახდა.

ჩვენი ლენინური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს განვლილი ხუთი წლის საერთაშორისო საქმიანობის მთავარი შედეგი ის არის, რომ კიდევ უფრო მეტად განმტკიცდა სამშობლოს უშიშროება. ყველაფერი კეთდება, რათა დაეცვათ საბჭოთა ადამიანების აღმშენებლობითი შრომა, მათი მშვიდობიანი ცხოვრება და მომავალი ყოველგვარი ხელყოფისაგან.

მსოფლიო ასპარეზზე გაჩაღდა დიადი ისტორიული ბრძოლა ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის. ჩვენი პარტია და საბჭოთა სახელმწიფო მომზი სოციალისტურ ქვეყნებთან, კომუნისტებთან და სხვა მშვიდობისმოყვარე ძალებთან ერთად დაუღალავ, მრავალმხრივ, დაძაბულ მუშაობას ეწევიან ამ კეთილშობილური მიზნის მისაღწევად.

ჩვენი პარტია თანამედროვეობის მძლავრი მოძრაობის, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ნაწილია, თქვა შემდეგ დეპუტატობის კანდიდატმა. ამჟამად პლანეტაზე პრაქტიკულად არ მოიძებნება კუთხე, სადაც თავდადებით არ მუშაობდნენ კომუნისტები. წლითიწლობით იზრდება მათი წვლილი მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის, დემოკრატიისა და ხალხთა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

ორატორმა აღნიშნა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს სოფიის საერთაშორისო თეორიულ კონფერენციას, რომელშიც 73 პარტიის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. კონფერენციამ ცხადყო, რომ კომუნისტები მაღალ შეფასებას აძლევენ სსრ კავშირის, სხვა სოციალისტური ქვეყნების გადამწყვეტ წვლილს იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში, დაადასტურა, რომ მათ ესმით მოძმე პარტიათა ინტერნაციონალური სოლიდარობის საარსებო მნიშვნელობა.

მშვიდობის საქმისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი გეგმების შესრულებას, სოციალისტური სამშობლოს პოლიტიკური, ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებას, აქედან გამომდინარეობს დასკვნა: რაც უფრო უკეთ გაიჯვება თითოეული ჩვენგანი თავის სამუშაო ადგილზე, მით უფრო მდიდარი, ძლიერი და მძლავრი ხდება სამშობლო, რაც უფრო ძლიერი იქნება საბჭოეთის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერება, მით უფრო მეტად გაგვიწევენ ანგარიშს მთელ მსოფლიოში, მით უფრო მტკიცე და საიმედო იქნება ხალხთა მშვიდობა და უშიშროება.

დასასრულ ბ. ნ. პონომარიოვმა გამოთქვა რწმენა, რომ საბჭოთა ადამიანები ერთსულოვნად მისცემენ ხმას კომუნისტთა და უპარტიოთა საახალხო ბლოკის კანდიდატებს და კვლავ დაადასტურებენ, რომ მხურვალედ იწონებენ და მთლიანად უჭერენ მხარს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკას. (საკდესი).

მტკიცე მშვიდობისათვის

ᲙᲝᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲔᲚᲗᲐ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ Ბ. ნ. ᲞᲝᲜᲝᲛᲐᲠᲘᲝᲕᲗᲐᲜ

12 თებერვალს კალინინის ოლქის მშრომელთა წარმომადგენლები საოლქო დრამატული თეატრის დარბაზში შეიკრიბნენ. აქ კალინინის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებმა შეხვედრა გაუმართეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს კინეშმის საარჩევნო ოლქში — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს ივანე ვასილის ძე კაპიტონოვს.

კრასნოგოლუსკის ბამბეულის კომბინატის ოსტატის თანამშრომელმა ბ. ი. ოსოკინმა — დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილმა პირმა — ილაპარაკა ი. ვ. კაპიტონოვის ცხოვრების გზაზე და მოუწოდა ამომრჩევლებს არჩევნების დღეს — 4 მარტს ხმა მისცენ კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის კანდიდატებს.

ორატორებმა ილაპარაკეს იმ უდიდეს პოლიტიკურ და შრომითს აღმავლობაზე, რომელიც საფეიერო მხარის მშრომელთა შორის გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვამ სსრ კავშირის ყველა ამომრჩევლისა და მოქალაქისადმი, ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის ფართოდ გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაზე.

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲗᲐᲜ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲗ

ᲐᲛᲔᲜᲓᲐ, ᲬᲧᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲬᲘᲗ ᲩᲐᲓᲒᲐ

ᲛᲘᲦᲓᲘᲜᲐᲠᲔ წელი დიდმნიშვნელოვანი მოვლენით აღინიშნა რუსთავის ქიმიური ქარხნის კოლექტივისათვის. მშენებელთა თავდადებული შრომის შედეგად მწყობრში ჩადგა პერმანგანატის საამქროს ახალი საწარმოო კორპუსები, ეს კი ქიმიური მრეწველობის ხაზით ამ უკანასკნელ ხანს ამოქმედებულ ობიექტებს შორის ერთ-ერთი უდიდესია რესპუბლიკაში. მის საპროექტო სიმძლავრის მოლიანად ათვისების შემდეგ ქარხანა ყოველწლიურად ხუთჯერ მეტ კალიუმის პერმანგანატს დამზადებს — თითქმის იმდენს, რამდენსაც მთელი ჩვენი ქვეყნის ქიმიური მრეწველობა უშვებდა 1957 წლამდე.

საამქროს ახალი კორპუსების მშენებლობას წინ უძღოდა როგორც წარმოების ათვისების, ისე მისი ტექნოლოგიური პროცესების დახვეწასთან დაკავშირებული სამუშაოები. საგულისხმოა, რომ 1957 წელს აშენებულმა საცდელ-საწარმოო პერმანგანატის საამქრომ 10 ათას ტონამდე პროდუქცია გამოუშვა. ამით ჯერ კიდევ მაშინ ჩაეყარა საფუძველი კალიუმის პერმანგანატის რენტაბელურ წარმოებას.

გ. ბარამიძე,
რუსთავის ქიმიური ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი.

თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატის“ ქარხანა „ელექტროგამშვების“ კოლექტივმა გადაწყვიტა პირველი კვარტალის გეგმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღისათვის შეასრულოს. სურათზე: თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატის“ ქარხანა „ელექტროგამშვების“ საექსპორტო უბანი.

ა. კაკაბაძისის ფოტო.
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲣᲠᲝᲠᲢᲔᲑᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲓᲦᲔ

ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘ ᲡᲐᲮᲔᲡ ᲘᲪᲕᲚᲘᲡ

წელს ახალ მაღლივ სახლში ჩასახლდება ბორჯომელთა 50 ოჯახი. ამ სახლის აშენებით დაიწყო ქალაქის განაშენიანების გენერალური გეგმის განხორციელება, რაც, როგორც გათვალისწინებულია, ორი ათას წლამდე უნდა გაგრძელდეს, გენერალური გეგმა ითვალისწინებს მთის რთული რელიეფის მაქსიმალურ გამოყენებას ბალნიერი შენობებისა და ტერასირებული სახლების აგების გზით, რაც ბორჯომს გაუფაორებელ არქიტექტურულ ერს მიანიჭებს.

როგორი გახდება ქალაქი უკვე მომდინარე ხუთწლედის დამლევისათვის? ამის შესახებ საქინფორმის კორესპონდენტს უამბო ბორჯომის რაიონის მთავარმა არქიტექტორმა ფ. აბულაძემ:

— პირველი ნაგებობანი აქ 1837 წელს გაჩნდა, როცა ბორჯომის ხეობაში გრენადერთა ქართული პოლკი განლაგდა. პოლკის ჯარისკაცებმა აქ ააგეს ხის პატარა სახლები და საამბულატორო შენობები, რამაც დასაბამი მისცა კურორტის წარმოშობას. მაგრამ მაშინაც და შემდეგაც აქ ნაგებობები ქაოსურად, მიწის ფართობის სიმცირის გაუთვალისწინებლად შენდებოდა, რაც აძნელებს ქალაქის თანამედროვე დაგეგმარებას.

შეეშვა ამ ადგილისათვის ოპტიმალური საცხოვრებელი მრავალსართულიანი სახლების პროექტი, რომელმაც მიიღო პირობითი სახელწოდება „ბორჯომი“. ამგვარი პროექტებით აშენებული სახლები, რომლებიც ითვალისწინებენ ყველა თანამედროვე სანიტარიულ და ჰიგიენურ ნორმებს, ჰარმონიულად შეერწყმის მთის რელიეფს და ხელს შეუწყობს მიწის ფართობის რაციონალურად გამოყენებას. პირველი მაღლივი სახლის შემდეგ დაიწყება სხვა მსგავსი სახლების მშენებლობა, აგრეთვე აშენდება კომკისებური სათბურები სოფლის მეურნეობის პროდუქტების მოსაყვანად, რომლის აგებაც შესაძლებელი იქნება პრაქტიკულად ყოველი მთის ფერდობზე.

არქიტექტურული თვალსაზრისით ორიგინალურად არის გადაწყვეტილი ბორჯომის მლაკოზე მშენებარე კომპოზიტორთა დასასვენებელი სახლი და სანატორიუმი „მთის ხეობა“,

ᲨᲝᲒᲐᲕᲔᲜ ᲓᲘᲓᲫᲐᲚ ᲚᲘᲗᲝᲜᲡ

ᲝᲪᲓᲐᲮᲣᲗᲘ პროცენტით შეამცირებს ლითონის ნარჩენებს მილის წინა თავის გასასწორებელი მოწყობილობა, რომელიც საექსპლოატაციოდ გადაეცა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავი საამქროს დგან „140“-ზე. მილების სამრეუდის გასწორება ერთ-ერთი მთავარი პრობლემური საკითხია მილსაგლინავ წარმოებაში. უნაკერო მილების გლინვისას მასზე უზარმაზარი მადეფორმირებელი ძალები მოქმედებს. გლინვის დასასრულს, როცა ეს ძალები იხსნება, მილის წინა თავი, ჩვეულებრივ, მრუდდება, მისი გასწორება პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება და მეტალურგები იძულებული არიან მოხრილი ნაწილი მოჭრან. ამიტომ დიდძალი ლითონი იკარგება.

ქარხნის მთავარმა ინჟინერმა, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატმა მ. მინდელმა, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტმა მ. მიქაუტაძემ და მილსაგლინავი საამქროს უფროსმა რ. თხელიძემ შეძლეს შეექმნათ ორიგინალური მოწყობილობა. მისი კონსტრუქცია მარტივია და საიმედოა მუშაობაში. ნაკადში მილის მოხრილ თავს მოწყობილობა დიდი სიზუსტით ასწორებს. აღნიშნული სიახლე საამქროს წელიწადში ათასობით ტონა ლითონს დაუზოგავს. ასობით მეტრი მილი, რომელიც წინათ იჭრებოდა და ნარჩენების სახით მიდიოდა, ახლა მრეწველობის სამსახურში ჩადგება.

ლითონის დაზოგვას მილსაგლინავ საამქროში ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდნენ. აქ საბჭოთა კავშირში პირველად ათვისეს ნავთობის მრეწველობისათვის განკუთვნილი შემოსარგავი მილების უქუროდ შეერთების ტექნოლოგია. როგორც აზერბაიჯანელი მენავთობეები ქართველ მეცნიერებს ეტყობინებენ, საბუროლ სვეტებში გამოყენებული, უქუროდ შეერთებული შემოსარგავი მილების თითოეულ ტონაზე ისინი 200-210 მანეთს ზოგავენ.

გ. ძინძიბაძე,
ინჟინერ-მეტალურგი.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ

ᲙᲝᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲔᲚᲗᲐ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ Ი. Ვ. ᲙᲐᲙᲘᲢᲝᲜᲝᲕᲗᲐᲜ

9 თებერვალს კინეშმაში ამომრჩევლები შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს კინეშმის საარჩევნო ოლქში — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს ივანე ვასილის ძე კაპიტონოვს.

ორეხოვო-ზუევოს ბამბეულის კომბინატის ოსტატის თანამშრომელმა ბ. ი. ოსოკინმა — დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილმა პირმა — ილაპარაკა ი. ვ. კაპიტონოვის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ და ამომრჩევლებს მოუწოდა არჩევნების დღეს ერთსულოვნად მისცენ ხმა კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის კანდიდატებს.

ორატორებმა ილაპარაკეს იმ უდიდეს პოლიტიკურ და შრომითს აღმავლობაზე, რომელიც საფეიერო მხარის მშრომელთა შორის გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვამ სსრ კავშირის ყველა ამომრჩევლისა და მოქალაქისადმი, ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის ფართოდ გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაზე.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ

ᲙᲝᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲔᲚᲗᲐ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ Ი. Ვ. ᲙᲐᲙᲘᲢᲝᲜᲝᲕᲗᲐᲜ

12 თებერვალს გაგრაში ამომრჩევლები შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს № 484 გაგრის საარჩევნო ოლქში ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალს, გენერალ-პოლკოვნიკს ოლეგ თევდორეს ძე კულიშევს.

შეხვედრა გახსნა პარტიის გაგრის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა შ. ცარიან.

შეხვედრის მონაწილეებმა საპატიო პრეზიდიუმში უდიდესი აღფრთოვანებით აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის, ამერიკელების ამოცანაში.

დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილმა პირმა გაგრის თევზის ქარხნის ინჟინერ-ტექნოლოგმა ნ. ზაიცევმა შეკრებილთ გააცნო მისი ბიოგრაფია და მოუწოდა ამომრჩევლებს არჩევნების დღეს — 4 მარტს ხმა მისცენ კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის კანდიდატებს.

წყალში დგანან, წყალი სწყურიათ

აი, როგორ არ უნდა უვლიდნენ საშემოდგომო ჯეჯილს

სამ თვეზე მეტია არ უწვიმია, გაჯიუტდა ბუნებაც, გვალვის გამო მოიწყინა ჯეჯილმა, ფოთლები დაუჭანა და სიყვითილე შეეპარა, უჭირთ ნათესებს. იქვე კი ალაზანი მიედინება, მაგრამ არავინ არის პატრონი, რომ წყალი არხებში გაუშვას.

ეს ამბავი ხდება სიღნაღის რაიონის ქვემო მაჩხაანის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში. აქ წელს, უჩვეულოდ თბილი ამინდების გამო, გადაწყვიტეს საშემოდგომოდ დათესილი 700 ჰექტარამდე ჯეჯილი მოერწყათ. ასე დაგეგმეს რაიონშიც. ყოველ დროს უხვად აქვთ სარწყავი წყალი და უწყლობით რატომ უნდა ფუჭდებოდეს ნათესები?

პასუხი ერთია: იმიტომ, რომ კოლმეურნეობის გამგეობის, პარტიული ორგანიზაციის, ალაზნის სარწყავი სისტემის სამმართველოს უმოქმედობით დღემდე ვერ მოიწესრიგეს როგორც მთავარი, ისე კოლმეურნეობის შიდა სარწყავი არხები. კოლმეურნეობის მარტო შიდა, 17 კილომეტრი სარწყავი არხი მიწით და სარეველა მცენარეებით არის ამოვსებული. ამ სამუშაოს შესასრულებლად ხუთ თვეზე მეტია საუცხოო ამინდებია, მოუხედავად ამისა, არხი ნაწილობრივ — 4 კილომეტრამდინლზე გაწმინდეს, ისიც უხეიროდ.

არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია მთავარი სარწყავი არხებიც. ეს სამუშაო დღემდე უნდა დაეთავებინა ალაზნის სისტემის სამმართველოს. მაგრამ დაამთავრა? არა. წყალსატუმბავი ნაგებობის შეკეთება დაუმთავრებელია. ამის გამო მოიკარ არხში წყალი ჯერ კიდევ არ არის გაშვებული.

მიზეზი კი მხოლოდ შრომის მოუწესრიგებლობაა და, შეიძლება ითქვას, უპასუხისმგებლობაა. ჩვენ კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან გ. გოგოშვილთან, მთავარ აგრონომთან, იგივე პარტიული ორგანიზაციის მდივანთან ო. ზურაბაშვილთან ერთად ადგილზე ვიყავით და ვნახეთ, რომ სარწყავი არხის გაწმენდაზე 10 საათსა და 30 წუთზე ერთი კაციც არ მუშაობდა.

— დღეს მუშებმა დაიგვიანეს, რადგან შორიდან უხდებათ სიარული, ტრანსპორტი კი ვერ ვიშოვნეთ, გარდა ამისა, არხების წესრიგში მოყვანა იმიტომაც გაჭიანურდა, რომ ტექნიკა არა გვაქვსო, — გულდამშვიდებით განაცხადა ალაზნის სარწყავი სისტემის სამმართველოს 37-ე გამაგავატანოთ კოლმეურნეთა შრომა, ჩაშალოთ მარცვლეულის უხვი მოსავლის მიღების საქმე?

არის თუ არა გამოსავალი? არის. ადგილზე „საქსახკომსოფლტექნიკის“ სიღნაღის რაიონული გაერთიანების (მმართველი გ. შიუკაშვილი) შემოწმებისას გამოირკვა, რომ საწყობში 250 ტონამდე აზოტოვანი სასუქი ჰქონიათ. როგორც გაერთიანების აგრონომმა ვ. ნარინდოშვილმა განაცხადა, მართალია, მაჩხაანის კოლმეურნეობას სასუქის შესაძენად ახლა ფული არა აქვს, მაგრამ ნისიად გაეცემი, ოღონდ მოვიდნენო(?!).

ულიანოვკის კოლმეურნეობაში საშემოდგომო პურეული 1.078 ჰექტარზე უთესიათ. მაჩხაანის კოლმეურნეობასთან შედარებით ულიანოვკელებმა უფრო კარგად მოაწყეს სასუქის შეტანა.

კოლმეურნეობის ფართობი საერთოდ ურწყავ ზონაშია. ამიტომ წლეულ-დელი გვალვების გამო ჯეჯილს აქა-იქ სიყვითლე შეპარვია. ეს კია, ჯეჯილში ოთხ ადგილას შარშანდელი მოსავლის ნამჯა დაუყრიათ და მისი დაწვნეზვა დღემდე ვერ მოუხერხებიათ. უფრო მეტიც, ჩვენ საამმართველოს მთავარ აგრონომთან ბ. ბოლაშვილთან ერთად ვნახეთ — ზოგან ნამჯის ნაწილი დაუწნეხიათ, ნარჩენისთვის კი დაახლოებით 0,4 ჰექტარზე ცეცხლი მოუკიდებიათ. წარმოიდგინეთ, რა დღეში იქნება ნაწილებელი არხის უბნის უფროსმა ო. მეჭურჭლიშვილმა.

ბავთიგი ნუკრიანის კოლმეურნეობა „პარიზის კომუნაში“ და ბოდბის კოლმეურნეობებში. სულ რაიონში 800 ტონამდე ნამჯა ჯერ კიდევ ნათესებშია და, ცხადია, ახლა, როცა გვალვიანი ამინდია და თავგვის გაჩენის საშიშროება შეიქმნა (აქა-იქ გაჩნდა კიდეც), ნუთუ ასეთი მდგომარეობის მოთმენა შეიძლება? განა ასეთი მოვლით მივიღებთ პურეულის უხვ მოსავალს?

ერთი ფაქტიც: ცნობილია, რომ შარშანდელმა ჭირვეულმა ამინდმა სიღნაღის რაიონს დიდი ზიანი მიაყენა. 5.000 ჰექტარამდე პურეულის ნათესი დაიტბორა. ავდარს ისიც დაემატა, რომ ზოგან სარწყავი არხები წესრიგში არ იყო მოყვანილი. პარტიის რაიკომმა, სახალხო დეპუტატთა რაიონის მეურნეობის სამმართველომ აღნიშნული მდგომარეობის გამოსასწორებლად საგანგებო ღონისძიება განახორციელეს და 300 ჰექტარის გარდა ფართობი აღდგენილია. ეს კარგია. უფრო კარგი იქნება ალაზნის სარწყავი სისტემის სამმართველოს უფროსმა ვ. გოგინაშვილმა დარჩენილი 300 ჰექტარამდე დატბორილი ნიადაგი წესრიგში მოიყვანოს.

ცუდია ისიც, რომ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მიღებულ სასუქებსაც რიგიანად ვერ იყენებენ და ვერ ინახავენ. არსად არა აქვთ სასუქის საწყობები და ფარდულები. მაგალითად, მაჩხაანის კოლმეურნეობის მინდორში ვნახეთ 5 ტონაზე მეტი სასუქი, რომელიც ორ თვეზე მეტია გზის ნაპირას დაუყრიათ.

„სოფლტექნიკის“ რაიონულ გაერთიანებასთან არსებობს აგროქიმიური სამსახური (უფროსი — გ. ლეკიშვილი). მისი მოვალეობაა საზოგადოებრივ მეურნეობებში შეიტანოს სასუქები. ამისათვის აქვთ სათანადო ტექნიკაც და ყველა საშუალებაც, მაგრამ ფაქტურად თავიანთ მოვალეობას ჯერჯერობით ვერ ასრულებენ.

რა ვქნათ, მართალია, აგროქიმიური სამსახური რაიონში არსებობს, მაგრამ მისი თანამშრომლები ჩვენთან ერთხელაც არ ყოფილან და არავითარი სამუშაო არ ჩაუტარებიათო, გულისტკივილით თქვა მაჩხაანის კოლმეურნეობის მთავარმა აგრონომმა ო. ზურაბაშვილმა.

შეიქმნა სპეციალური „საქმთავარწყალშენის“ სამმართველო. ამის შემდეგ როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XII პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. შევარდნაძემ აღნიშნა, რესპუბლიკის მელიორაციისა და სახელთა მეურნეობის სამინისტროს ახლა მეტი შესაძლებლობა მიეცა მთელი ძალ-ღონე მოიახმაროს ჯაჭმის ფრიად მნიშვნელოვან მხარეს — სამელიორაციო სისტემის ექსპლოატაციას, რწყვის მასშტაბის გადიდებასა და ხარისხის გაუმჯობესებას, სისტემის მუშაკთა პასუხისმგებლობის გაძლიერებას სასოფლო-სამეურნეო შრომის საბოლოო შედეგებისათვის.

ამ მხრივ სიღნაღის რაიონში ჯერჯერობით არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა. მარტო სარწყავად დაგეგმილი 2.316 ჰექტარი საშემოდგომო ნათესიდან მათ შორის 1.715 ჰექტარი ჯეჯილიდან არც შემოდგომაზე და არც ახლა არც ერთი ჰექტარი არ მორწყულა.

საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ, პარტიის სიღნაღის რაიონულმა კომიტეტმა, სახალხო დეპუტატთა რაიასაბჭოს აღმასკომმა, სოფლის მეურნეობის სამმართველომ ჭიროვანი სიღრმით უნდა გააანალიზონ რაიონში შექმნილი მდგომარეობა, ყველაფერი იღონონ იმისათვის, რომ ამინდების მიუხედავად ყველა პირობა შექმნან პურეულის უხვი მოსავლის მისაღებად.

შ. ჭოჭუა,
„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი.

ნ. ს. ტიხონოვის ხსოვნას

მოსკოვი ეთხოვება

გუშინ მოსკოვში დაკრძალეს ... ლეს საბჭოთა სამშობლოს მგზნებარე პატრიოტი, სოციალისტური საზოგადოების შთაგონებული მომღერალი, საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთი კლასიკოსი, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის მტკიცე მებრძოლი ნიკოლოზ სიმონის ძე ტიხონოვი.

ძაძებით იყო შემოსილი მოსკოვის მეცნიერთა სახლი, მაღალ კვარცხლბეკზე დგას განსვენებულის კუბო. ალისფერ ხავერდზე სოციალისტური შრომის გმირის ოქროს medaლი „ნამგალი და ურო“, ორდენები, ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების ლაურეატის საპატიო ნიშნები, სხვა ჯილდოები, რომლებიც მწერალს მიეხიბა ხალხის წინაშე დამსახურებისათვის.

დარბაზში მრავალი გვირგვინია. ერთ-ერთის ლენტზე წარწერილია: **„ნიკოლოზ სიმონის ძე ტიხონოვს სკკპ ცენტრალური კომიტეტისაგან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან“.** აქვეა სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტისა და მოსკოვის საბჭოს აღმასკომის, საკავშირო პროფსაბჭოს, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის, სხვა შემოქმედებითი კავშირების, სამინისტროებისა და უწყებების, საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს, მეგობრებისა და ახლობლების გვირგვინები.

ქღერს სამგლოვიარო მელოდიები, საპატიო ყარაულში დგებიან ამხანაგები ა. პ. კირილენკო, მ. ა. სუსლოვი, ვ. ვ. კუზნეცოვი, ი. ვ. კაპიტონოვი, ვ. ი. დოლგიხი, მ. ვ. ზიმიანინი, ი. პ. რიაბოვი, კ. ვ. რუსაკოვი, მ. ს. გორბაჩოვი.

— ...ლეონიდ ილიჩ ბრეჟნევი, ... ვი იდგნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებელი მუშაკები, ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწენი, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, დაკრძალვის კომწყობის კომისიის წევრები. საპატიო ყარაულში იდგნენ მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწენი, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს დელეგაცია, საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები.

ათასობით მოსკოველი მოვიდა, რათა გამოსთხოვებოდა ნ. ს. ტიხონოვს, გამოეხატა სიყვარული და პატივისცემა საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთი ფუძემდებლისადმი, რომლის წიგნები ემსახურებოდნენ და მომავალშიც მოემსახურებიან კომუნისტური მშენებლობის საქმეს, ქვეყნად მტკიცე მშვიდობისათვის ბრძოლის საქმეს.

სამგლოვიარო მიტინგი გახსნა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა ა. ა. სურკოვმა. საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში ნიკოლოზ სიმონის ძე ტიხონოვის უდიდესი წვლილის, მისი მრავალმხრივი საზოგადო მოღვაწეობის შესახებ ილაპარაკეს მწერლებმა ფ. მ. მარკოვმა, მ. ტანკმა, კ. ნ. იაშენმა, მ. ა. დუდინმა, ს. ს. ნაროვნიტოვმა, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ვიცე-პრეზიდენტმა ა. ვარელამ, ბულგარეთის მშვიდობის დაცვის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარემ გ. დიმიტროვ-გოშკინმა, საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ვ. კოვანოვმა, გაზეთ „კრასნაია ზვეზდას“ მთავარმა რედაქტორმა ნ. ი. მაკეევმა.

ნ. ს. ტიხონოვი დაკრძალეს ნოემბერ ... ...ეს ... ...ბ ... ...ბ ... ...ბ

წარდგენილია შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად

ᲘᲣᲕᲘᲐᲗᲘᲐ ის შემოქმედებითი აღმავლობა, რომლითაც მეოთხედი საუკუნეა გვახარებს თენგიზ აბულაძე და რომელმაც იგი ასე ლოგიკურად მიიყვანა თავის „ნატვრის ხემდე“, როგორც პირდაპირი, ისე ფიგურალური გაგებით. მისი ხალასი ნიჭით გახსივოსნებული ფილმები „მაგდანას ლურჯა“ (რ. ჩხეიძესთან ერთად), „სხვისი შვილები“, „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, „ველდრება“, „ნატვრის ხე“ პრემირებულია კანის, ედინბურგის, სან-რემოს, ლონდონის, ჰელსინკის, თეირანის, ბრატისლავის, პორტა-ტერმასა და ტაშკენტის საერთაშორისო კინოფესტივალებზე.

გაზეთ „პრავდის“ რეცენზენტი თ. აბულაძის „ნატვრის ხეს“ რომ განიხილავდა როგორც ნათელი სიმბოლოებით სავსე პოეტურ ფილმს, განსაკუთრებით აღნიშნავდა მის მდიდარ, ბრძნულ ადამიანურ სამყაროს. ცხადია, ეს სამყარო დიდ ლიტერატურაში იღებს სათავეს, ისე როგორც თ. აბულაძის თითქმის ყველა მხატვრული ფილმი. ეს მეტად მნიშვნელოვანი და დამახასიათებელი ფაქტორია და ნათლად მიუთითებს იმ სულიერ ნათესაობაზე, რაც თ. აბულაძეს აკავშირებს ჩვენს მწერლობასთან, მის საუკეთესო წარმომადგენლებთან და რაც მისთვის, როგორც კინემატოგრაფისტისათვის, ნამდვილი პოეტური ადამფრენის მძლავრი შემოქმედებითი იმპულსია.

სილამაზის უკვდავება

„ნატვრის ხეს“ მეტად ხანგრძლივი და რთული მოსამზადებელი პერიოდი ჰქონდა. შემოქმედებითი თრთოლვა უკვე გადაღებული, დამონტაჟებული და გახმოვანებული ფილმის საბოლოო რედაქციამდეც არ ასვენებდა ავტორს, მაგრამ გამარჯვების ურყევი რწმენა მაშინვე ჩაესახა, როცა შესანიშნავ ქართველ მწერალ, რუსთაველის პრემიის ლაურეატ რ. ინანიშვილთან ერთად შეძლო და ერთი მთლიანი სიუჟეტური წყობით გააერთიანა გიორგი ლეონიძის რამდენიმე ნოველა (უპირველეს ყოვლისა, „ნატვრის ხე“, „მარიტა“, „სოფლის შარაზე“, „ჩორეხი“, „ციციყორა“, „ფუფალა“).

როცა ფილმსა და ლეონიძისეულ ნოველებს ადარებ, სასიამოვნოდ გაოცებთ ერთი რამ: თ. აბულაძე ლიტერატურული პირველწყაროს, პირდაპირ უნდა ითქვას, ბოელი ერთგულებით მისდევს, რასაც იგი თითქოს უნდა შეეგოჭა, თავის გავლენაში მოექცია. სინამდვილეში კი მოხდა პირიქით. და თ. აბულაძის რეჟისურის მაგიური ძალა და თვითმყოფობაც სწორედ ის არის, რომ იგი არა თუ მაქსიმალურად წვდება ლეონიძისეულ მხატვრულ იდეას და სახეობრივ სისტემას, არამედ სახელოვან „თანაავტორთან“ მეტოქეობის შემოქმედებითი ენერგიით ატაცებული, ტოლფასოვან კინემატოგრაფიულ ექვივალენტს ქმნის, რის შედეგადაც მისი „ნატვრის ხე“ ჰეშმარიტად დამოუკიდებელ, მხოლოდ კინოს ხერხებითა და საშუალებებით ნაძერწ ნაწარმოებად იქცა.

„ლიტერატურული ნაწარმოები, — წერს ცნობილი ფრანგი კინორეჟისორი კლოდ ოტან-ლარა, — ის პატეოსანი თვალია, რომელსაც კინო ახალი ბეჭდის ბუდეში ათავსებს“. თ. აბულაძის მაღალი პოეტური სული და პროფესიული ხელოვნების ერთგულება იმითაც გამომჟღავნდა, რომ ლეონიძისეული ნოველების ახალ ბეჭედში ჩასმისას მან კიდევ უფრო მეტი სხივი და ბრწყინვალება შემატა ამ მართლაც „ლიტერატურულ მარგალიტებს“. უამისოდ, ცხადია, არავითარი აზრი არ ექნებოდა ეკრანიზაციას.

„ნატვრის ხე“ მარტო თ. აბულაძის კი არა, არამედ კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მთელი კოლექტივისა და საერთოდ, ქართული საბჭოთა კულტურის გამარჯვებაა.

ცნობილ კინორეჟისორს გ. ჩუხრაის აქვს ერთი ფრთიანი გამოთქმა: „კინემატოგრაფიაში, ისე როგორც მუსიკალურ სიმფონიაში, არის ადგილები, სადაც აუცილებელია ყველა ინსტრუმენტის შერწყმული ჟღერადობა, მაგრამ არის სოლო ადგილებიც“.

ასეთ სოლოს ხშირად ვხვდებით „ნატვრის ხეში“, ეს ხან ოპერატორია (ლ. ახვლედიანი), ხან მხატვარი (რ. მირზაშვილი), ხან ხმის ოპერატორიც კი (თ. ნანობაშვილი), გახსოვთ ის შემაძრწუნებელი, რაღაც თავისებური რექვიემი ეკლესიაში რომ გუგუნებს, ან მსახიობები (ს. თაყაიშვილს გმირის უმწეო ხელის სავსავი), მაგრამ ყველა შემთხვევაში ეს მხოლოდ წამიერი აღზევებაა, ერთგვარი ლირიკული ინტერმეცო, როცა რეჟისორი-დირიჟორი წამით მიიღებს მოწყალებას, სოლოს აძლევს ნიჭიერ ორკესტრანტს და თვითონაც ტაკება ამ პოეტური აღმაფრენით, ისე კი ყველაფერი უმკაცრესად, მაგიური ძალით ემორჩილება მის ნებას და ჩვენც საამოდ გვეფინება „ნატვრის ხის“ ზნეობრივი სიფაქიზითა და ოპტიმისტური ჟღერადობით სავსე სიმფონია.

და მაინც უნდა განსაკუთრებით გამოიყოს „ნატვრის ხის“ უაღრესად ჰარმონიული აქტიორული ანსამბლის საერთო მაღალი დონე, ის საოცარი შემოქმედებითი ვარვარი და გზნება, რაც ს. თაყაიშვილის, ს. ჭიაურელის, კ. კვასაძის, ოთ. მეღვინეთუხუცესის და სხვათა ნიჭის ახლებურმა გაელვებამ გამოიწვია. „ნატვრის ხემდე“, შეიძლება ითქვას, არც ერთ ფილმში არ ყოფილა მოცემული ქართული კინოაქტიორული სკოლის პოტენციური გაქანების ასეთი მასშტაბური და შთამბეჭდავი პანორამული ტილო.

როგორც „პრავდის“ რეცენზიაში იყო ხაზგასმული, „ნატვრის ხის“ ავტორი დაჯილდოებულია მწვავედ თანამედროვე ხედვითა და იმის ურყევი რწმენით, თუ რაოდენ ამოუწურავია ადამიანურ შესაძლებლობათა არსენალი, რაოდენ უკვდავია ცხოვრების ჰუმანისტური საწყისები, ანგარება, შეუწყნარებლობა და ბნელი გადმონაშთები კი — ამაო და განწირული.

ასეთი მარადიული ტკივილები აცოცხლებს „ნატვრის ხეს“, ამ კეთილშობილური მიზნებისათვის იბრძვიან მისი ამაყი, შეუვალი და მეოცნებე გმირები, ამიტომაც არიან ისინი ჩვენთვის ასეთი ახლობლები და თანამედროვენი.

...ბოროტება აღზევდა დროებით. დასაჯეს მშვენიერი მარიტა.

„იქ, სადაც მარიტას მამისეული სახლი იდგა, — ვკითხულობთ წიგნში და ფიგეეს ვუყურებთ ეკრანზე. — ახლა ქერის ბურდო ეყარა... ყოველივე წალეკილი იყო „ზვირთთაგან მღელვარისა ამის მიუნდობლის საწუთროსა“.

აღარც ერთი ხე აღარ გადარჩენილიყო მარიტას ეზოში, მხოლოდ ძველი ქერის ადგილზე თავისით ბროწეული ამოვარვარებულიყო.

ვუყურებდი მხიარულ, მზიან ყვავილს და არა-მჯეროდა, რომ მარიტა აღარ ამშვენებდა დედამიწას! არც ის მეჯერებოდა, რომ ამ მტვერსა და ნაგავში ასეთი ბრწყინვალე ყვავილიანი ხე ამოსულიყო თავისით!

მართლაც, საიდან მოდის სილამაზე? ან სად მიდის, სად იკარგება, თუ დროებით მიეფარება?

ვინ იცის?!“

ცხადია, სილამაზე არ იკარგება, რადგან არც შეიძლება მისი დაკარგვა. ლეონიძისეული ბოლო ფრაზა „ვინ იცის“ სულაც არ ნიშნავს რაიმე კატეგორიულ ტონს, პირიქით, იგი კიდევ ერთხელ გვიბიძგებს საფიქრად და საოცნებოდ; გვიბიძგებს და მხნეობასაც გვმატებს, რომ სილამაზე თავად არის უკვდავება. ასეთია „ნატვრის ხის“ ფილოსოფიური არსი, რომელიც მას უდიდეს შემეცნებითს ღირსებას ანიჭებს.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲓᲝᲚᲘᲫᲔ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗᲔᲑᲖᲔ: კინოფილმ „ნატვრის ხის“ კადრები.



ᲛᲣᲡᲘᲙᲐ

საფორტეპიანო პოეზიის მეუფე

ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ მუსიკოს-შემსრულებელთა შორის იშვიათად თუ შეგვხვდება პიანისტი, რომელს ოსტატობასაც ისეთი საყოველთაო აღიარება მოეპოვებინოს, როგორიც ელისო ვირსალაძემ.

უკვე ოც წელზე მეტია, რაც მუსიკის მოყვარულნი დიდი მღელვარებით მოელიან ყოველ ახალ შეხვედრას ჩვენს სახელოვან მსახიობთან, რომლის თავისებურად განუმეორებელი ხელოვნება დიდ სიხარულსა და ესთეტიკურ სიამოვნებას გვანიჭებს. 1959 წელს, ვენაში ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ მოიხვეჭა საერთაშორისო კონკურსის ლაურეატის წოდება, რასაც მრავალი დიდი და დამსახურებული გამარჯვება მოჰყვა. ამ წარმატებათა მიზეზი კი, გამოჩენილი საბჭოთა პიანისტის იაკობ ფლიერის აზრით, ე. ვირსალაძის ხელოვნების განსაკვირებელი ჰარმონიულობა და ნამდვილი პოეტურობა იყო.

სწორედ ამ პოეტურობამ, რომანტიკულმა ალტკინებამ, არტისტულმა უშუალობამ და მხატვრულმა გულწრფელობამ, რომელიც უმაღლეს პროფესიულ ოსტატობაზეა დაფუძნებული, ქართველ პიანისტს მსოფლიო სახელი მოუტანა.

ამ თვისებებით კიდევ ერთხელ მოვიხიბლეთ თბილისში ახლახან გამართულ ე. ვირსალაძის კონცერტებზე. პიანისტი ვრცელი და მრავალფეროვანი რეპერტუარით წარმოგვიდგა. მოცარტი, ბეთჰოვენი, შუმანი, პროკოფიევი — აი კომპოზიტორები, რომელთა კონცერტებისა და სონატების შესრულებისას ელისომ დიდი შთამბეჭდაობით ამეტყველა მუსიკის საოცარი სამყარო.

სოლო კონცერტის გარდა, რომლითაც პიანისტმა დაასრულა თავისი გამოსვლები ზმობლიურ ქალაქში, გაიმართა ე. ვირსალაძის ერთობლივი საღამოები საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს სიმფონიურ ორკესტრთან (დირიჟორი — ლევ მარკიზი) და საქართველოს სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრთან (დირიჟორი — ოდისეი დიმიტრიადი).

რამდენიმე სიტყვით შეუძლებელია ამ კონცერტებზე შესრულებული მუსიკალური თხზულებების დეტალური გარჩევა-რეცენზირება, მით უმეტეს, რომ ყოველი მათგანი თავისი მხატვრული ღირსებებითა და შესრულების დონით ამას ყოველმხრივ იმსახურებს. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ელისო ვირსალაძისა და მისი პარტნიორების ეს „მინი მუსიკალური ფესტივალი“ ხელოვნების ჭეშმარიტ ზეიმად მოგვევლინა.

დირიჟორ ლევ მარკიზის სახელი ჩვენთან საკმაოდ კარგად არის ცნობილი, მას ბევრი რამ აკავშირებს საქართველოსთან და ქართულ მუსიკასთან, რომლის წინაშეც დირიჟორს გარკვეული დამსახურება და ღვაწლიც მოუძღვის. ახალმა შეხვედრამ ლ. მარკიზთან საინტერესოდ ჩაიარა და წარმატებაც მოუტანა მას.

განსაკუთრებით სასიამოვნო იყო ამ „ფესტივალის“ ერთ-ერთ კონცერტზე ოდისეი დიმიტრიადის ხილვა. სულ ცოტა ხნის წინათ ჩვენმა საზოგადოებრიობამ აღნიშნა ამ გამოჩენილი დირიჟორის დაბადების 70-ე წლისთავი. ო. დიმიტრიადის სახელთან უშუალოდ არის დაკავშირებული თანამედროვე ქართული მუსიკის არაერთი ბრწყინვალე გამარჯვება, აღიარება.

ამჯერად, მისი დირიჟორობით დიდ საკონცერტო დარბაზში ბეთჰოვენის უკვდავი ჰანგები აჟღერდა. აჟღერდა ჩვეული ტემპერამენტით, არტისტიზმით, მუსიკალური ქმნილებების ღრმად დამჯერებელი, ლოგიკური ამეტყველებით ამგვარად, აღვიქვით ბეთჰოვენის უვერტიურა „ლეონორა“, მე-2 სიმფონია და, რა თქმა უნდა, კონცერტი № 5 ფორტეპიანისა და ორკესტრისათვის, რომელშიც სოლისტმა, დირიჟორმა და ორკესტრმა ერთობლივად გამოხატეს ბეთჰოვენისეული მუსიკალური გენიის სული.

და ბოლოს, გვინდა შევეხოთ საკითხს, რომელსაც, ერთი შეხედვით, თითქოსდა საერთო არა უნდა ჰქონდეს რა ჩვენს ამ მიმოხილვასთან.

ალბათ მკითხველები დამეთანხმებიან, რომ ხშირად ისმის საყვედურები „სერიოზული მუსიკის“ მიმართ ინტერესის დაკარგვის გამო.

ვინც ე. ვირსალაძის კონცერტებს დაესწრო, დამეთანხმება, თუ რაოდენ მცდარია ამგვარი მოსაზრება. თბილისელები მშვენივრად ერკვევიან კლასიკურ მუსიკაში, ოღონდ კარგი შემსრულებელი იყოს.

ᲡᲘᲛᲝᲜ ᲪᲘᲜᲪᲐᲫᲔ,
მუსიკათმცოდნე.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ: უკრავს ელისო ვირსალაძე.

ვ. მაჩაბლის ფოტო.

ნ. რ. შარიქაძე



85 წლისა გარდაიცვალა საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, სკკპ წევრი 1918 წლიდან ნიკოლოზ რაფიელის ძე **შარიქაძე.**

იგი დაიბადა ხარაგაულის რაიონის სოფელ ლელეანში ღარიბი გლეხის ოჯახში. ერთკლასიანი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სოფელში მუშაობდა მოჯამაგირედ. 1915 წელს გაიწვიეს პირველ მსოფლიო ომში, სადაც დაუკავშირდა რევოლუციურად განწყობილ ჯარისკაცებს და 1917 წელს რსდმპ რიგებში შეავიდა.

1917 წლის ნოემბერში დაბრუნდა საქართველოში და შეუდგა აქტიურ ბრძოლას მეწშევიკების წინააღმდეგ. დასავლეთ საქართველოს მთელ რიგ რაიონებში ავრცელებდა ბოლშევიკურ ლიტერატურას, რისთვისაც ორჯერ იქნა დაპატიმრებული.

1921 წელს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ აირჩიეს სოფელ ლელეანის რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარედ. 1922 წლიდან გაგზავნილ იქნა სამუშაოდ ამიერკავკასიის რკინიგზის დაცვის რაზმში პარტბიუროს განთავისუფლებულ მდივნად, სადაც 1926 წლამდე იმუშავა.

1927-28 წლებში მუშაობდა ხაშურის შრომის ბირჟის თავმჯდომარედ, 1929-31 წლებში ხელმძღვანელობდა სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობას, ამავე პერიოდში აქტიურად მონაწილეობდა ხაშურის რაიონის სოფლების მეურნეობების ჩამოყალიბებაში.

1934-36 წლებში ჯერ რკინიგზის სადგურის პროფკავშირის თავმჯდომარე, ხოლო შემდეგ პარტბიუროს განთავისუფლებული მდივანი იყო, და აქტიურად მონაწილეობდა პარტიულ და სამეურნეო საქმიანობაში.

ნ. შარიქაძე 1954 წლიდან პერსონალურ პენსიაზე გავიდა. იგი დაჯილდოებული იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპასტიო სიგელით და მედლებით.

ძველი ბოლშევიკის, პარტიის საქმის ერთგული მუშაკის ნ. შარიქაძის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება ჩვენს გულში.

ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲔᲑᲘᲡ ᲯᲒᲣᲤᲘ.

ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲫᲛᲝᲒᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲒᲝᲒᲠᲝᲒᲘᲡ ᲛᲝᲜᲣᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐ

I. ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ

კონკურსს აცხადებენ: ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი, საქართველოს არქიტექტორთა კავშირი და საქართველოს მხატვართა კავშირი.

კონკურსი ღიაა — მონაწილეობის უფლება ეძლევა ყველა მსურველს.

კონკურსის პროგრამისა და საწყისი მასალის მიღება მსურველებს შეუძლიათ საქართველოს არქიტექტორთა კავშირსა და ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომში.

საკონკურსო მასალა უნდა გამოიგზავნოს მისამართით: ქ. ქუთაისი, 384 000, რუსთაველის პრ. № 3, ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი.

II. ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲝᲒᲔᲑᲘ

კონკურსის მიზანია ქ. ქუთაისში შეიქმნას ხალხთა ძმობისა და მეგობრობის მონუმენტი, რომელიც იდეურ-მხატვრული თვალსაზრისით შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს.

კონკურსის საშუალებით უნდა შეიქმნას მონუმენტის საუკეთესო პროექტი, რომელშიც სრულყოფილად იქნება გადმოცემული საბჭოთა ადამიანის ზნეობრივი კრიტერიუმის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნითვისება — ინტერნაციონალური ბუნება და მისწრაფება ხალხთა ლენინური მეგობრობის განმტკიცებისადმი:

მონუმენტის იდეურ-მხატვრული გადაწყვეტა, მისი ავტორების მიერ წარმოდგენილი პროექტის ყველა ელემენტი უნდა მიესადაგებოდეს თემის იდეურ ჩანაფიქრს და რაც შეიძლება ნათლად გვიჩვენებდეს ძირითად არსს, ჰქონდეს ემოციური ზემოქმედების ძალა.

საკონკურსო თემის სრულყოფილი ასახვისათვის გამოყენებული უნდა იქნეს არქიტექტურის, ქანდაკების, მონუმენტური ფერწერის თუ დეკორატიული ხელოვნების საშუალებათა სინთეზი ადგილმდებარეობის კონკრეტული პირობების შესაბამისად.

მონუმენტი აიგება ქ. ქუთაისში გორის ქ. № 155, გორისა და გუგუნავას ქუჩების შესაყართან.

III. ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲪᲔᲛᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲐ

მონუმენტის ასაგებად გამოყოფილი ადგილის გენერალური გეგმა 1:500 მასშტაბით.

IV. ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲖᲔ ᲬᲐᲠᲓᲒᲔᲚᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲐ

მონუმენტის მაკეტი 1:20 ან 1:50 ნებისმიერი მასალით;

მონუმენტის ფასადები — არანაკლებ ორისა, მასშტაბი 1:20;

გენერალური გეგმა მასშტაბით 1:500 ან 1:200, მიზანშეწონილობის შემთხვევაში ორივე ერთად;

პროექტის შემადგენლობაში ჩართული უნდა იყოს მონუმენტის ფრაგმენტები არანაკლებ ორისა ნებისმიერი მასშტაბით;

განმარტებითი ბარათი;

დახურული კონვერტი შიფრით, რომელშიც იქნება ავტორის (ავტორების) გვარი, სახელი, მამის სახელი, მისამართი და მათი წილობრივი მონაწილეობა პროცენტული შეფარდებით.

V. ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲐᲪᲘᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲬᲐᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲔᲑᲘ

საპროექტო მასალა უნდა წარმოადგინოთ მუყაოს ან ხის დაფებზე (მოდელი 4-1 პუნქტის დაცვით);

თითოეული ნახაზის მარცხენა ზედა კუთხეში აღინიშნოს ნომერი;

ნახაზის შესრულების ტექნიკა ნებისმიერია;

პროექტის ყველა ელემენტი (ნახაზი, მოდელი, ტექსტი, კონვერტი, ფოტოები) ერთნაირად აღნიშნეთ რომელიმე ასოთი და ოთხი არათანმიმდევრული ციფრით (მაგალითად, ა-4736), წარწერის სიმაღლის ზომაა 1 სანტიმეტრი.

საკონკურსო დოკუმენტაციის ჩაბარების ვადაა 1979 წლის 31 აგვისტო. დაგეგმილებით მიღებული პროექტი განიხილება კონკურსგარეშე;

საკონკურსო დოკუმენტაცია უნდა გამოგზავნოთ მისამართით: ქ. ქუთაისი, 384 000, რუსთაველის ქ. № 3, საქალაქო საბჭოს აღმასკომი;

კონკურსის შედეგები გამოქვეყნდება 1979 წლის სექტემბერში.

VI. ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲑᲘ

საუკეთესო პროექტებისათვის დაწესებულია შემდეგი პრემიები:

ერთი პირველი პრემია — 1 500 მანეთი;

ერთი მეორე პრემია — 1000 მანეთი;

ერთი მესამე პრემია — 800 მანეთი.

ყიური ვალდებულია გასცეს ყველა დაწესებული პრემია. ეს პირობები შეიძლება დაირღვეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონკურსზე წარმოდგენილი პროექტების რიცხვი ტოლი ან ნაკლები იქნება დაწესებული პრემიების რაოდენობაზე.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ № 54 ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ-ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲡᲙᲝᲚᲐᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲣᲚ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲠᲘᲒᲘᲡᲘᲓᲐᲜ ᲓᲔᲛᲝᲑᲘᲚᲘᲖᲔᲑᲣᲚ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲭᲘᲗᲘᲗ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲔᲑᲖᲔ:

1. ექსკავატორის მემანქანე (რუსული სექტორი), 2. კოშკურა ამწის მემანქანე (ქართული სექტორი), 3. ავტოშემკეთებელი ზეინკალი (ქართული სექტორი).

საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებული მოსწავლეები სწავლის მთელ პერიოდში მიიღებენ გადიდებულ სტიპენდიას — 70 მანეთს, აგრეთვე საწარმოო პრაქტიკის დროს გამომუშავებული თანხის 33 პროცენტს.

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდები მიიღებენ სპეციალობის დიპლომს, უზრუნველყოფილი იქნებიან დიდხელფასიანი სამუშაო ადგილით საქართველოს მშენებლობის სამინისტროს ტრესტებში.

სწავლების ვადა 8 თვეა. სასწავლებელში სწავლის მსურველებმა მისაღებ კომისიაში უნდა წარადგინონ შემდეგი საბუთები: განაცხადის მოწმობა (დედანი), დაბადების მოწმობა (დედანი), ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა 286), ავტობიოგრაფია, 6 ფოტოსურათი (3X4), ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.

განცხადება უნდა დაიწეროს სასწავლებლის დირექტორის სახელზე, პასპორტი და სამხედრო ბილეთი უნდა წარმოადგინოთ პირადად.

სწავლა დაიწყება 1 მარტს.

მისამართი: ქ. თბილისი — 68. საქართველო რაიონი, ჭიკოვაძის ქ. 10. ტელეფონი: 71-37-47, 71-80-90. ტრანსპორტი: ავტობუსი № 10 მეტროს სადგურ „სამგორიდან“, № 16 კოლმეურნეთა მოედნიდან, № 51 მეტროს სადგურ „26 კომისრიდან“, სამარშრუტო ტაქსი № 5 კოლმეურნეთა მოედნიდან — ბოლო გაჩერება.

საბუთების მიღება წარმოებს ყოველდღე 10 საათიდან 5 საათამდე.

ᲕᲐᲫᲙᲐᲪᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲔᲑᲘᲗ

კოლონა ღამით მიდიოდა...

ᲔᲥᲕᲡᲘ ავტომობილისაგან შემდგარ კოლონას, რომელსაც უფროსი ლეიტენანტი ალეკსი რუჟინსკი მეთაურობდა, ბუქსირით სარემონტოდ საბრძოლო მანქანები გადაეჰქონდა. ყველაფერი რიგზე იყო. უცებ მძღოლებმა იგრძნეს ნატისუსლის სუნი.

— ფაბრიკაში ხანძარია! — უთხრა მას მილიციის ლეიტენანტმა და დასძინა: — მანქანები ახლოს ვერ მისულან. საჭიროა კიდევ შენგრევა. ზენობაში ხალხია, მათ ცეცხლმა გზა მოუჭრა.

ალექსანდრე რუჟინსკი მაშინვე გაერკვა ვითარებაში. მან შეიტყო, რომ მექანიკოს-მძღოლთა შორის იყო ყველაზე გამოცდილი პირველი კლასის სპეციალისტი სერჟანტი ვიქტორ სიჩევი, იგი ბევრჯერ წაუხალისებიათ ყველაზე ძნელი ამოცანების სწრაფი და წარმატებული გადაწყვეტისათვის, რომლებიც კი ტაქტიკური წვრთნის დროს წამოჭრილა. სწორედ მას დაავალა მეთაურმა რთული და საშიში ოპერაციის განხორციელება.

ვიქტორი მტკიცედ მოქმედებდა. რაღაც წუთებში მან აგურის კედელში ორი ფართო ჭრილი გააკეთა სახანძრო მანქანებისათვის. მეხანძრეებთან ერთად თავდაუზოგავად მოქმედებდნენ რიგითი ჯარისკაცები ვიქტორ მასლოვი, მარის აბასოვი, სერგო ბოცვაძე, უმცროსი სერჟანტები ალექსანდრე კოშკო, ვლადიმერ კუზნეცოვი.

ხანძარი ჩააქრეს. დილით კი მეთაურის კაბინეტში ტელეფონი აწკრიალდა. პარტიის რაიკომის პირველი მდივანი მადლობას უხდიდა მეომრებს დახმარებისათვის და სთხოვდა წაეხალისებინაო ისინი, ვინც თავი გამოიჩინა ხანძრის ჩაქრობის დროს. (საქინფორმი).

ᲩᲐᲓᲠᲐᲙᲘ

დიდებულად ითამაშა

ᲑᲐᲭᲝᲕᲘ გრძელდება ახალგაზრდა ოსტატ ვაჟა საკავშირო პირველობა. მეცამეტე ტურში დიდებულად ითამაშა მაია ჩიბურდანიძემ, მან დაამარცხა თანაქალაქელი გ. ზაიჩიკი. სპეციალისტების აზრით, ეს პარტია ტურნირის მშვენებაა. თბილისელმა ზ. სტეფანამ თავისი პარტია ეკვედერ ბ. ტაბოროვთან თანაბარ მდგომარეობაში გადადო.

ასპარეზობის ბოლო ორი ტურის წინ 9 ქულით ლიდერობს კრასნოიარსკელი ს. ფასახი. მომდევნო ადგილებზე არიან ზაიჩიკი, ერევნელი ს. ლუტიანი და ოდესელი ვ. ენგორონი — 7,5-7,5 ქულა. თბილისელ მოჭადრაკეებს — სტეფნას და მაია ჩიბურდანიძეს შესაბამისად 6 და 5 ქულა აქვთ.

დარჩა 3 ტური

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ, ჭადრაკის სასახლეში მიმდინარე დინამოელ მოჭადრაკეთა საკავშირო პირველობაზე გადამწყვეტი დღეები დგება. 8 ტურის შემდეგ გუნდურ ჩათვლაში წინ არის ბელორუსიის კოლექტივი, რომელსაც 15,5 ქულა აქვს. 13,5 ქულა მოაგროვეს მოლდაველებმა, 13-13 — საქართველოსა და ლენინგრადის მოჭადრაკეებმა.

პირად ჩათვლაში დაწინაურდა ოსტატი ლ. გოფშტეინი (უკრაინა), რომელსაც 7 ქულა აქვს. მას თითო ქულით ჩამორჩებიან საერთაშორისო ოსტატები ვ. კუპრეიჩიკი, ოსტატები ს. ბეგუნი (ორივე — ბელორუსია) და ზ. აზმაიფარაშვილი (საქართველო). ახლა პირველი ადგილისათვის ბრძოლის შანსები მხოლოდ ამ მოჭადრაკეებს შემორჩათ. შეჯიბრების დამთავრებამდე 3 ტური რჩება.

ᲣᲮᲐᲒᲐᲜᲘ

ᲙᲠᲘᲖᲘ

გამარჯვებული დაგვიბრუნდა

ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐ დავით კვაჭაძემ ახლახან ინდონეზიაში გამართულ მოკრივეთა დიდ საერთაშორისო ტურნირში პირველი ადგილი დაიკავა. აღსანიშნავია, რომ ჩვენმა მოკრივემ პირველად აჩვენა ბრძოლის აგრესიული მანერა. ფინალური ორთაბრძოლა მან ნოკაუტით დაამთავრა.

ᲮᲔᲚᲑᲣᲠᲗᲘ

მხოლოდ 2 ქულით...

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ უმაღლესი ლიგის ხელბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის საწყისი ეტაპის ბოლო, მეოთხე და მეხუთე ტურის მატჩები, ზედიზედ სამი გამარჯვების შემდეგ, კიევში, ცსკასთან შეხვედრაში, დამარცხდა თბილისის „ბურევესტნიკი“ — 18:38. უნდა ითქვას ისიც, რომ „ბურევესტნიკმა“ ძლიერ მეტოქესთან ახალგაზრდული შემადგენლობით ითამაშა და ძალები შემოინახა ტურის ბოლო მატჩისათვის. გუშინ ეს შეხვედრაც გაიმართა და თბილისელებმა ერთობ უშეღავათო ბრძოლაში დაამარცხეს კაუნასის „გრანიტასი“ — 27:26.

ამრიგად, თბილისის „ბურევესტნიკმა“ პირველი წრის საწყის ეტაპზე 10 შესაძლებლიდან 8 ქულა დაგროვა; მხოლოდ 2 ქულა დაკარგა და ამჟამად კარგი სატურნირო მდგომარეობა აქვს. კიევის ჯგუფში „ბურევესტნიკს“ წინ უსწრებს მხოლოდ ცსკა. (10 ქულა).

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲙᲝᲠᲢᲔᲒᲖᲔ

ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲘᲡ ჩოგბურთელებმა გამართეს ევროპის გუნდური პირველობის ფინალური შეხვედრა უნგრეთის ნაკრებთან, გაიმარჯვეს ანგარიშით 2:1 და დაეუფლნენ ამ გათამაშებისათვის დაწესებულ ჯილდოს — „სამეფო თასს“. გადამწყვეტი მატჩი მოეწყო ჩეხოსლოვაკიის ქალაქ გრუდინაში.

ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ბოკა რეიტონში (აშშ, ფლორიდის შტატი) მოეწყო „ოთხი ვარსკვლავის“ ტურნირი. ამ შეჯიბრებაში ბარაშანდელი სეზონის მიხედვით მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელად აღიარებულმა შვედმა ბიორნ ბორგმა კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი დიდი ოსტატობა. ფინალში მან დამაჯერებლად დაამარცხა ამერიკელი ჯიმი კონორსი (6:2, 6:3).

ფეხბურთის მოედნებზე

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. **მოსკოვის „სპარტაკი“ განაგრძობს თავის ტურნეს ამერიკის შეერთებულ შტატებში. მორიგი მატჩი სპარტაკელმა ფეხბურთელებმა გამართეს ცინცინატში (ოჰაიოს შტატი) ადგილობრივ „ცინცინატი კიდსთან“ და გაიმარჯვეს — 7:3. შეხვედრა მოეწყ